

# XXI საუკუნის გამოწვევები საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების სისტემაში, მისი სრულყოფის გზები

*ნათელა ჯანელიძე – ასისტენტ პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Challenges of higher and secondary education system and improving its roads in the XXI century

*Natela Janelidze – Assistant Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia,*

### Abstract

#### Introduction and aim :

In the modern world the first place is determined by the quality of human capital, the level of education, knowledge and the separate practical usage, innovative activities of economy. The last two decades now, the upgrade of world's economic development role in the development of science is noticed. Especially the most important is the natural resources such as a qualified education, the mental capacity, the effective use of intellectual capital for a not-so-rich, small size population country. In these terms of higher and secondary education teaching / learning research is gaining an importance

#### Research methodology:

In the research we applied methods of abstraction, analysis-synthesis, theoretical.

#### Results and implications :

Nowadays when we're in the middle of the revolution, globalization, computerization, the Internet, information flows, all of these have a vital role. This is a new era and this era of wealth creation is the source of knowledge and information.

#### Conclusion :

In the XXI century the higher education and secondary education system face of major and important challenges. This two-level close feedback makes to form the qualified intellectual capital formation, increase of quality of education and knowledge. Knowledge makes the economic transformation.

**Keywords :** Higher education, secondary education, IP capital, qualified workers.

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ადგილი უპირველესად განისაზღვრება ადამიანური კაპიტალის ხარისხით, განათლების დონით, ცოდნით და ცალკეული პრაქტიკული გამოყენებითა და ეკონომიკის ინოვაციური აქტივობით. ბოლო ორ ათეულ წელზე მეტია, მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პროცესში აღინიშნება მეცნიერების როლის განვითარების აღმავლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსები, როგორც არც თუ ისე მდიდარი, სიდიდით და მოსახლეობის რიცხოვნებით მცირე ქვეყნისათვის - კვალიფიციური განათლება, გონებრივი პოტენციალის, ინტელექტუალური კაპიტალის ეფექტური გამოყენება. ამ თვალსაზრისით უმაღლესი და საშუალო განათლების სწავლა/სწავლების კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. განათლება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ბავშვების, ახალგაზრდებისა

და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვასა და მათთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეული გააზრება, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების და საზოგადოების განვითარების საწინდარია. უწყვეტი განათლების სისტემა, ზოგადი განათლების ხარისხზე ორიენტირება და ხელმისაწვდომობა უნიშვნელოვანესია. წლიდან-წლამდე იზრდება ინვესტიციები განათლებაში. მაგალითად, 2015 წელს განათლებაზე ხარჯები შეადგენდა 655 მილიონ ლარს, 2016 წელს-822 მილიონ ლარს, 2017 წლის გეგმით საბიუჯეტო სახსრები 770 მილიონია და დონორების დაფინანსება 52 მილიონი, რაც ჯამში 822 მილიონ ლარს შეადგენს. უკანაწელი წლების მონაცემები გარკვეულ ზრდაზე მიუთითებს, თუმცა ინვესტიციები თითქმის გაორმაგებულია თუ შევადარებთ აღნიშნულ მაჩვენებელს 2008-2010 წლებს (2008 წელს ხარჯები განათლებაზე შეადგენდა 420 მილიონ ლარს, 2009 წელს- 460 მილიონ ლარს, 2010 წელს -521 მილიონ ლარს). განათლების დაფინანსებაში მნიშვნელოვანი სისტემური ნაბიჯები 2004 წელს გადაიდგა, როდესაც მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ერთი მოსწავლის დაფინანსებაზე გადასვლა. იგივე პრინციპი ამუშავდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებიც საუკეთესო შედეგს აჩვენებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. სსიპ ეროვნული სკოლების დაფინანსების სისტემა ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლის შემდეგ წააწყდა მნიშვნელოვან პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ ვაუჩერი დიფერენცირებული იყო სკოლის კონტიგენტისა და მდებარეობის მიხედვით, მაღალმთიანი და მცირე კონტიგენტის სკოლები მაინც მნიშვნელოვანი დეფიციტის პირობებში არმოჩნდნენ. ხოლო მსხვილი სკოლები პროფიციტული ბიუჯეტის პირობებში ვერ ითვისებდნენ თანხებს. ვაუჩერული დაფინანსება, ერთის მხრივ ზრდიდა კონკურენციას სკოლებში, რაც მათი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია, ხოლო, მეორეს მხრივ ხელს უწყობდა სკოლების გამსხვილებას. არ მუშაობდა კონკურენციის პრინციპი სოფლის სკოლებში ალტერნატივის არარსებობის გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ვაუჩერის ოდენობა განისაზღვრება არა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი თანხის ოდენობით, არამედ არსებული რესურსების გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. 2016 წლიდან ორი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით, ახალი ცვლილებით თანხები გაზრდილია, საჯარო სკოლებისათვის ვაუჩერი პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა:

- 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება -489 ლარი, 2014 წელს ეს მონაცემი 450 ლარი იყო;
- 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება -483 ლარი;2014 წელს ეს მონაცემი 441 ლარი იყო;
- 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება -480 ლარი;2014 წელს ეს მონაცემი 438 ლარი იყო;
- 735-ის ჩათვლითაა-471 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 432 ლარი იყო;
- 736-დან 1268 მოსწავლემდე განისაზღვრა 462; 2014 წელს ეს მონაცემი 420 ლარი იყო;
- აღმატება 1269-ს -453 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 416 ლარი იყო;

განსხვავებული ციფრებია მეცხრე მეთორმეტე კლასის ჩათვლით საჯარო სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა:

- 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება 591ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 540 ლარი იყო;
- 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება 583 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 528 ლარი იყო;
- 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება 579 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 525 ლარი იყო;

- 735-ის ჩათვლითაა 570 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 519 ლარი იყო;
- 736-დან 1268 მოსწავლემდე განისაზღვრა 558 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 504 ლარი იყო;
- აღმატება 1269-ს -546 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 495 ლარი იყო;

საჯარო სკოლებისათვის სტანდარტული ვაუჩერის გარდა, ასევე განისაზღვრა საბაზო დაფინანსებაც, რაც პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით ერთი და იგივეა. თანხები 2014 წელთან შედარებით საგრძნობლად არის გაზრდილი.

- 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება 62 000 ლარი, 2014 წელს ეს მონაცემი 55000 ლარი იყო;
- 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება -58000 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 52000 ლარი იყო;
- 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით განისაზღვრება -52000 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 47000 ლარი იყო;
- 735-ის ჩათვლითაა -43 000 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 40000 ლარი იყო;
- 736-დან 1268 მოსწავლემდე განისაზღვრა 37000 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 35000 ლარი იყო;
- აღმატება 1269-ს -28 000 ლარი; 2014 წელს ეს მონაცემი 25 000 ლარი იყო;

გარდა ამისა, დამატებითი დაფინანსება განისაზღვრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ოდენობის მიხედვით: 1-დან 6-ის ჩათვლით -4200 ლარი; 7-დან 13-ის ჩათვლით -8400 ლარი; 14-დან 23-ის ჩათვლით -12600 ლარი; 23 და მეტი -16800 ლარი. კერძო სკოლებისთვის მიუხედავად მათი მოსწავლეობის რაოდენობისა და მდებარეობისა გათვალისწინებულია ფიქსირებული დაფინანსება 300 ლარის ოდენობით. აქამდე არსებული ვითარებიდან სკოლებს ახლა უკვე პირიქით მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების მოტივაცია შეიძლება გაუჩნდეთ, რაც ერთის მხრივ შესაძლებელია პოზიტიურად აისახოს მათ მოსწავლეთა განათლების ხარისხზე, ხოლო მეორეს მხრივ ამ გარემოებამ შესაძლებელია შექმნას განათლების ხელმისაწვდომობაზე პრობლემა. მაგალითად, სკოლა რომლის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 735, კიდევ ერთი მოსწავლის მიღების შემთხვევაში კარგავს საბაზისო დაფინანსებას 6000 ლარს ( $43000-37000=6000$ ); სკოლა რომლის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 1268, კიდევ ერთი მოსწავლის მიღების შემთხვევაში კარგავს საბაზისო დაფინანსებას 9000 ლარს ( $37000-28000=9000$ ). საჯარო სკოლებში დაფინანსების ახალი წესის, უშუალოდ სკოლებისათვის ეფექტიანობის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად რაიმე კვლევა ხელმისაწვდომი არ არის და არც სკოლის ბიუჯეტის შესახებ მონაცემები მოიპოვება დამოუკიდებელი ანალიზისთვის. არ შეიძლება არ აღინიშნოს საგნობრივი ტრენინგები, სადაც ჩართულები მხოლოდ საჯარო სკოლის მასწავლებლები არიან. აგრეთვე უამრავი პროექტი, რომელიც ცხადდება მხოლოდ და მხოლოდ საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის. ფაქტია, რომ კერძო სკოლები საკმაოდ არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებული. მიუხედავად ამისა, კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა ყოველ წლიურად მზარდია და 2016 წლის მონაცემით 55000-ზე მეტს შეადგენს (რაც 2014 წელს მაჩვენებელს 4000-ით, 2008 წელს კი 8000-ით აღემატება). საჭიროა მიმოვიხილოთ სახელმწიფოს მიერ ერთ სტუდენტზე გაწეული ხარჯები, რომლის 100%-ანი გრანტის მოპოვების შემთხვევაში სწავლა ფინანსდება 2250 ლარით, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სტუდენტის სწავლის საფასურის სრულად დაფინანსების პროგრამები. პროგრამული დაფინანსების მიღებაზე სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი რვა უმაღლესი დაწესებულებაა გამოყოფილი, მათგან: 7 მიმართულება ბაკალავრის 21 სპეციალობით (აგრონომია, ვეტერინარია, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება, საინჟინრო ფიზიკა, ენერგეტიკა და ელექტრო ინჟინერია,

მშენებლობა, აგრო ინჟინერია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ეკონომიკა, ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, არქიტექტურა, არქეოლოგია), სულ 5653 ადგილი. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი სტიმულირებისა, აბიტურიენტების მხრიდან მოთხოვნა შეთავაზებულ სპეციალობებზე შედარებით დაბალია. ლიდერ პოზიციებს იკავებს: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, მედიცინა და ა.შ. სამწუხაროდ ქვეყანაში მნიშვნელოვნად დაბალი მოთხოვნაა ისეთ ფუნდამენტურ მეცნიერებებზე როგორცაა: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ამ თვალსაზრისით გამვითარებულ მსოფლიოს მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით. ჩვენი აზრით ახალი თაობის ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების სისწრაფე რამდენჯერმე აღემატება მასწავლებლის ცოდნის გაცემის სიჩქარეს, რაც იწვევს ბავშვის დემოტივაციას, დემოტივაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია ცოდნის მიღებისას. თუ ჩავთლით, რომ მასწავლებლების უმეტესს ნაწილს (განსაკუთრებით საჯარო სკოლებში) განათლება მიღებული აქვს საბჭოთა პერიოდში და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახალგაზრდათა უმრავლესობისათვის მასწავლებლობა ნაკლებად პრესტიჟულია, სკოლებში უფრო მეტად ასაკოვანი მასწავლებლები არიან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პრობლემა საკმაოდ სერიოზულია. განათლების და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას კვლევის შედეგად, ახალგაზრდა 10 სერთიფიცირებული მასწავლებლიდან 8 ფიქრობს იმუშაოს სკოლაში სანამ ახალ სამსახურს არ იშოვის. „გამოდის რომ წელს პედაგოგიური მიმართულებით გაცემული 1000 გრანტიდან, 4 წელიწადში ჩვენ 200-300 პედაგოგი გვეყოლება,“ „ჩვენი სკოლის ფასადი მინდა, რომ იყოს ჭადარა“-გარდაუვალია. დღეს როცა რევოლუციის შუაგულში ვიმყოფებით: გლობალიზაცია, კომპიუტერიზაცია, ინტერნეტქსელი, ინფორმაციული ნაკადები, ყოველივე ამან სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. ეს ახალი ერაა და ამ ერაში სიმდიდრის შექმნის წყაროს ცოდნა და ინფორმაცია წარმოადგენს. ქვეყნისთვის ინტელექტუალური კაპიტალის შექმნა, კვალიფიციური კადრების აღზრდა შრომის ბაზრის რეგულირებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული იაპონიის ეკონომიკის აღდგენის ერთ-ერთი ფაქტორი იყო განათლებაში ინვესტირება, რამაც დიდი წვლილი შეიტანა იაპონური სასწაულის აღმოცენებაში. „სკოლის განათლების სისტემა მოძველდა და ხშირ შემთხვევაში ეფუძვნება 1900-იანი წლების მოდელს, თუმცა თანამედროვე გამოწვევები სხვადასხვაა და შესაბამისად ჩვენ გვჭირდება რაღაც ახალი, უფრო მისაღები XXI საუკუნისთვის“ -აცხადებს განათლების დეპარტამენტის თავჯდომარე მარიო კილონენი. ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა ცნობილია როგორც მსოფლიო ერთ-ერთი საუკეთესო და საერთაშორისო რეიტინგებში მუდმივად ხვდება ტოპ ათეულში, თუმცა იქაურმა განათლების სისტემაზე პასუხისმგებელმა ადამიანებმა გადაწყვიდეს არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით და განათლების სისტემაში რევოლუციურ ცვლილებებს გეგმავენ. უფროს კლასებში, მოსწავლე თავად აირჩევს რომელი თემა და სფერო აინტერესებს, თავისი შესაძლებლობებიდან და ამბიციებიდან გამომდინარე, შესაბამისად არ მოუწევს ყველა საგნის კურსის გავლა და არ ექნება განწყობა, რომ მას ეს არ სჭირდება. მესამე ათასწლეულში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების სისტემა. ამ ორი რგოლის მჭიდრო უკუკავშირი ახდენს კვალიფიციური ინტელექტუალური კაპიტალის ჩამოყალიბებას, განათლების ხარისხის ზრდას, ცოდნას. ცოდნა ახდენს ეკონომიკის ტრანსფორმაციას. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს გონებრივი პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ქვეყანა ამ ხრივ განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. არ შეიძლება პარალელები იქნეს გავლებული სხვა განვითარებად ქვეყნებთან. სასურველი იქნება ქვეყნის განვითარებამ მიაღწიოს ისეთ დონეს, როცა განვითარებული ქვეყნების სტუდენტები გამოხატავენ ჩვენს ქვეყანაში სწავლის სურვილს.

## გამოყენებული წყაროები

- [1] ჯანელიძე ნ. განათლება და ეკონომიკა-კავშირები, პრობლემები და პერსპექტივები//აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი(აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისა და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული, ნაწილი II)2013 წლის 24-25მაისი,-გვ275-277
- [2] ჯანელიძე ნ. სოციალური ინვესტირების თანამედროვე ფორმები საქართველოში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. – 2013წ. - გვ. 90-92.
- [3] <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2841278>
- [4] [http://www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/TAVI\\_III.pdf](http://www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2017/damtkicebuli/TAVI_III.pdf)
- [5] [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2098&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2098&lang=geo)
- [6] <https://edu.aris.ge/news/ramdenit-gaizarda-sadjaro-skolebis-sabazo-dafinanseba-da-ert-moswavleze-gatvlili-vaucheris-odenoba.html>
- [7] <https://edu.aris.ge/news/pedagogi-chamotarebit-ar-aris-chadgmit-aris-vinc-kolegebtan-ar-tanamshromlobs-skolidan-wava.html>